

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი



მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

მიმართულებები:

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
- ისტორიის მასწავლებელი
- მათემატიკის მასწავლებელი
- ქიმიის მასწავლებელი
- ფიზიკის მასწავლებელი
- ბიოლოგიის მასწავლებელი
- ინგლისური ენის მასწავლებელი

სწავლების ენა: ქართული

სწავლის ხანგრძლივობა: ერთი სასწავლო წელი

კრედიტების რაოდენობა: 60 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ ბერია;

საკონტაქტო ინფორმაცია: 577315594; zurabberia@gmail.com

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესაბამისი დანართით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №142/ნ ბრძანებით დადგენილი პირობების დაცვით:

- მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში;
- მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში;
- მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დანყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ინგლისურ ენაში;
- მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი მათემატიკაში;
- მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ქიმიაში;
- მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ფიზიკაში;
- მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ბიოლოგიაში

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მასწავლებელი, რომელიც აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალობას და შესაბამისად, იყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს: საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს, შეუძლია საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფა და თანამშრომლობა კოლეგებთან, პრობლემების ერთობლივად გადაჭრისა და პროფესიული განვითარებისათვის. ამ მიზნით,

უნივერსიტეტის ამოცანაა, მოიზიდოს ნიჭიერი და მოტივირებული პირები საგანმანათლებლო პროგრამაზე, გააცნოს და შეასწავლოს მათ სწავლების თანამედროვე მეთოდები, და ტექნოლოგიები, მოსწავლეზე ორიენტირებული და კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული განხორციელების გზები, და უზრუნველყოს მათთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავება, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შექმნის გზით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები განაწილებულია ზოგად პროფესიულ სასწავლო კურსებსა და საგნის სწავლების მეთოდის სწავლების კურსს შორის, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს საგნის სწავლების მეთოდის თეორიულ სასწავლო კურსს და პროფესიულ პრაქტიკას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მასწავლებლისათვის აუცილებელი ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხების, სწავლებისა და განვითარების პედაგოგიურ ფსიქოლოგიური საფუძვლების და ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლას, სწავლებისა და შეფასების მიდგომების და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის უნარების ჩამოყალიბებას; პროგრამის 10 კრედიტი ეთმობა საგნის სწავლების მეთოდის საკითხების ათვისებას, სადაც პროგრამის სტუდენტები, ზოგად მოდულში ათვისებულ სწავლების და შეფასების საკითხების ტრანსფერს ახდენენ საგნობრივი მეთოდის ჭრილში, კონკრეტული საგნის სწავლების ათვისებულების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობაა 60 სტუდენტი.

პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარების შემდეგ კონკურსანტი აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას გასაუბრების სახით, რომლის საკითხები და შეფასების კრიტერიუმები გამოცდამდე გონივრული ვადით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სწავლა-სწავლების ფორმები და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად, გამოიყენება სწავლების შესაბამისი ორგანიზების ფორმები. პროგრამის კომპონენტები, აუცილებელი თანაფარდობით ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, სასწავლო კურსებს და პრაქტიკულ კომპონენტს. პრაქტიკის მიზნების მისაღწევად, მისი განხორციელება უზრუნველყოფილია წინასწარ შემუშავებული სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად.

პროგრამაში გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის მრავალფეროვანი მეთოდები და ხერხები. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები კონკრეტულად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით, კურსის მიზნების და კურსის ფარგლებში განსაზღვრებული კომპეტენციების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის დემონსტრირება პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების, მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის და შეფასების და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის საკითხებზე და აქვს აღნიშნული ცოდნის საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი:

1. შეუძლია პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება

1.1. შეუძლია შექმნას დადებითი სასწავლო გარემო მოსწავლეების ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნებას გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს კლასში თოთოეული მოსწავლის ინტეგრაციასა და მოტივაციას; შეუძლია უსაფრთხო თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნა თოთოეული მოსწავლის პირველი, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის; შეუძლია სსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე.

1.2. შეუძლია კლასის მართვა, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და ადეკვატური რეაგირება; შეუძლია მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემებთან ეფექტური კომუნიკაცია კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისათვის; შეუძლია მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით, მათი ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებით;

1.3. შეუძლია მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანი თანამშრომლობა; შეუძლია მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენლებთან) ჩართულობის ხელშეწყობა მოსწავლეთა გააზრებულად სწავლებისათვის.

1.4. დამოკიდებულებები და ღირებულებები: აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობასა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო/კონფლიქტებისგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნისათვის; აცნობიერებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსაფრთხო (ფიზიკური, სოციალური და ემოციური) სასწავლო გარემოს ფორმირებისათვის.

2. შეუძლია მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა

2.1. შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება; შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება; შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით; დაგეგმვისას შეუძლია შიდასაგნობრივი და საგანთაშორისი კავშირების გათვალისწინება; შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით შეუძლია სოციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;

2.2. შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსები და ICT ტექნოლოგიები სასწავლო გეგმის მიზნებისა და კონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით; შეუძლია მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარება;

2.3. შეუძლია პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესში; შეუძლია მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების ეფექტიანად შერჩევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით;

2.4. შეუძლია მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა, მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით;

2.5. შეუძლია მიზნობრივად გამოიყენოს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები;

2.6. სწავლების პროცესში შეუძლია მდგრადი განვითარების პრინციპების სასწავლო თემებში ინტეგრირება;

2.7. შეუძლია კლასგარეშე საქმიანობების (საკლუბო, სარეწო, სასწავლო და სოციალური პროექტების) დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;

2.8. აცნობიერებს, რომ ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტები და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია; მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება; სწამს, რომ დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მის პიროვნულ და კოგნიტურ განვითარებას, ასევე, მათ იტევრაციას სასკოლო საზოგადოებაში.

3. შეუძლია სასწავლო პროცესის შეფასება

- 3.1. შეუძლია მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად; შეუძლია განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის კოგნიტური და პიროვნული განვითარებისათვის.;
- 3.2. შეუძლია შეფასების სქემებისა და რუბრიკების შედგენა, მათზე დაყრდნობით მოსწავლეთა ობიექტური შეფასება.

4. შეუძლია პროფესიურ განვითარებაზე ზრუნვა

- 4.1. თვითშეფასების, კოლეგებისაგან, ღირეცქიისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;
- 4.2. აქვს უნარი, მოიძიოს და გამოიყენოს განათლების მეცნიერებებში ახალი ცოდნა, ტენდენციები და თანამედროვე კვლევები საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისათვის;
- 4.3. დამოკიდებულებები და ღირებულებები: ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებისა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე; აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას.

სტუდენტის მიღწევების შეფასება

სტუდენტი კრედიტს მოიპოვებს მხოლოდ სასწავლო კომპონენტით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს შეფასების შედეგებით. აღნიშნულისათვის, თითოეული სასწავლო კომპონენტის მიზნებისთვის შესაბამის სილაბუსებში გათვალისწინებულია შესაბამისი შეფასების მეთოდები და შეფასების რუბრიკები.

ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

დადებითი შეფასებებია:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;
- (C) კარგი –71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. შენიშვნა: დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

(F) ჩაიჭრა –40 და ნაკლები ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს, შუალედური შეფასების ხვედრითი წილი 60, ხოლო დასკვნითი შეფასების - 40 ქულაა.

შუალედური შეფასების ფორმების და კომპონენტების კონკრეტულად განსაზღვრა წარმოადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის აკადემიური თავისუფლების ნაწილს და ინდივიდუალურად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც შესრულებული აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული პირობები.

დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 21 ქულას.

დასაქმების სფეროების აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია, შესაბამისი დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, იმუშაოს საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩაერთოს, როგორც უფროსი მასწავლებელი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საგანმანათლებლო პროგრამა არ წარმოადგენს უმაღლესი აკადემიური საფეხურის პროგრამას, შესაბამისად, იგი არ წარმოშობს სწავლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სტუდენტების ინტერესებთან.

სააუდიტორიო სივრცე აღჭურვილია ე.წ. ჭკვიანი დაფებით და სხვა აუცილებელი საშუალებებით, რომლის მეშვეობით პროგრამის სტუდენტებს საშუალება ექნებათ, მოახდინონ უახლესი საინფორმაციო-ტექნიკური საშუალებების ინტეგრირება სასწავლო პროცესთან.

დანართი 1: სასწავლო გეგმა

დანართი 2: სწავლის შედეგების რუკა

დანართი 3: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

დანართი 4: საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი

დანართი 5: აკადემიური და მონვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია